აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულება
საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო
სისტემების მართვის დეპარტამენტი

N 1789
14/08/2018

1789-07-2-201808141645

www.factcheck.ge-ს ანალიტიკოსს

ქალბატონ ნაზიბროლა რეხვიაშვილს

თქვენი 2018 წლის 26 ივლისის (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროში გაგზავნილი) წერილის პასუხად, გაწვდით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2017 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ კანონით გათვალისწინებული საგზაო ღონისძიებების ჩამონათვალს, რომელთა განსახორციელებლადაც გამოცხადებული იქნა ელექტრონული ტენდერები, გამარჯვებულებთან გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები და შემდგომში შეწყდა სხვადასხვა მიზეზების გამო, აქედან:

- *განხორციელდა ნაწილობრივ:*

  ა) **ქობულეთის მუნიციპალიტეტში ს/გზა „ჩაქვის #2 ჩაის ფაბრიკა-ქვედა აჭყვა“ -კმ3+118 მონაკვეთზე საყრდენი კედლის მოწყობა** - შესყიდვის ღირებულება 58999.95 ლარი, 2017 წლის 18 აგვისტოს გაფორმებული იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შპს „ბლექ-სი+“-სთან (სატენდერო განცხადების ნომერი NAT170007564), რომელიც შეწყდა 2017 წლის 22 დეკემბერს არასრული სამუშაოების 50 დღის დაგვიანებით წარმოდგენის გამო და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარედგინა შესაბამისი ინფორმაცია შპს „ბლექ-სი+“-ის შავ სიაში შეყვანის თაობაზე. (დღეის მდგომარეობით, შესრულებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების დიდი ნაწილი და დარჩენილია მცირე სამუშაო - დარჩენილია ლითონის მილის მოწყობის სამუშაო);

  ბ) **შუახევის მუნიციპალიტეტში ს/გზა „ჭვანა-გომარდული“ კმ5+500 მონაკვეთზე საყრდენი კედლის მოწყობა, ს/გზა „ჭვანა-გომარდული“ - კმ3+700 მონაკვეთზე საყრდენი კედლის მოწყობა, ს/გზა „ჭვანა-გომარდული“ - კმ3+600 მონაკვეთზე საყრდენი კედლის მოწყობა** - 2017

წლის 12 ოქტომბერს გაფორმებული იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შპს „სანრაისთან“.

გ) **ხულოს მუნიციპალიტეტში ს/გზა „რიყეთი-დიდი რიყეთი“ კმ0+900 მონაკვეთზე საყრდენი კედლის მოწყობა** - 2017 წლის 14 სექტემბერს გაფორმებული იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შპს „დიოკნისთან.“

შპს „სანრაისმა“ და შპს „დიოკნისმა“ ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების ნაწილი შეასრულეს, თუმცა ნაწილის შესრულება ვერ მოხერხდა ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის გამო, რაც გახდა ურთიერთშეთანხმებით ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი. ს/გზა „ჭვანა-გომარდული“ კმ5+500 მონაკვეთზე მოსაწყობია საყრდენი კედელი, ხოლო ს/გზა „რიყეთი-დიდი რიყეთი“ კმ0+900 მონაკვეთზე გაბიონის მოწყობა დასრულებულია და საყრდენი კედელი ნაწილობრივ მოწყობილია.

- *დაიწყო განხორციელება, ვერ დასრულდა 2017 წელს და დასრულდა 2018 წელს:*

ა) **ქობულეთის მუნიციპალიტეტში ს/გზა „ქვედა კვირიკე-ზედა კვირიკე“ კმ2+800-კმ5+300 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობა** - 2017 წლის 21 ივნისს შპს „მეგაკონტრსაქშენთან“ გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (სატენდერო განცხადების ნომერი NAT170004690) შეწყვეტილ იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების არასრულად შესრულების გამო; დარჩენილ სამუშაოებს აწარმოებს შპს „New Road”, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (განცხადების ნომერი SPA170005658) და ზემოაღნიშნული ღონისძიების თანხა გათვალისწინებული იქნა 2018 წლის ბიუჯეტით.

ბ) **ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ს/გზა „თხილნარის გზა-მურმანეთი“ კმ0+000-კმ2+000 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობა** - 2017 წლის 06 ივნისს შპს „მეგაკონტრსაქშენთან“ გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (სატენდერო განცხადების ნომერი NAT170004443) შეწყვეტილ იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების არასრულად შესრულების გამო; დარჩენილ სამუშაოებს აწარმოებს შპს „ჯ და ჯ”, რომელთანაც გაფორმებულია ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (განცხადების ნომერი SPA170005657). ზემოაღნიშნული ღონისძიების თანხა გათვალისწინებული იქნა 2018 წლის ბიუჯეტით.

გ) **ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ს/გზა „ახალშენის გზა-ზედა ახალშენი-ჯოჭო“ კმ3+600-კმ7+480 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის მოწყობა** - 2017 წლის 20 თებერვალს **შპს „გზასთან“** გაფორმებული იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (სატენდერო განცხადების ნომერი NAT170004897) ;

დ) **ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში ს/გზა „ბარცხანა-ორთაბათუმი-ზედა ყოროლისთავი“ კმ0+000-კმ4+450 მონაკვეთზე ასფალტბეტონის საფარის**

მოწყობა - 2017 წლის 23 ივნისს **შპს „გზასთან“** გაფორმებული იქნა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (სატენდერო განცხადების ნომერი NAT170004677).

ორივე შემთხვევაში, შპს „გზასთან“ ორმხრივი შეთანხმების შესაბამისად, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის გადაწევა მოხდა 2018 წლისთვის და, დღეის მდგომარეობით, ორივე ღონისძიება დასრულებულია. აქვე გაცნობებთ, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების ცვლილება განპირობებული იყო ობიექტური მიზეზებით (ს/გზა „ახალშენის გზა-ზედა ახალშენი-ჯოჭო“ - მიმდინარეობდა ზემო აჭარის გაზიფიკაციის ცენტრალური მაგისტრალის მშენებლობა და ს/გზა „ბარცხანა-ორთაბათუმი-ზედა ყოროლისთავი“ - მიმდინარეობდა ბათუმის ცენტრალური წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია).

ზემოაღნიშნულ ღონისძიებებთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოფიციალურ ვებ გვერდზე. დამატებითი კითხვების შემთხვევაში, მზად ვართ თანამშრომლობისთვის.

პატივისცემით,

რაულ ბერიძე

დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი